ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №416254

ნომერი: AR171326

თარიღი : 04.08.2012

გაცემის თარიღი : 02.11.2012

გაცნობის თარიღი : 03.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 24ა (ნაკვ.02/049) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯემალ ბეჟანიშვილი პ/ნ 01026007454
- თბილისი პეკინის გამზ. N 10 ბ. 37

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის სამუშაოების, არსებულ ღობეში ჭიშკრისა და პანდუსის მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, მოსკოვის გამზირი, #24ა (ნაკვ. 02/049), ს.ს. „თბილხელსაწყო“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ ღობეში ჭიშკრისა და პანდუსის მოწყობა. პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს N315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას. ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882012370487 31/07/2012წ. საკადასტრო კოდი N0101.19.34.002.049; ქონების მართვის სააგენტოს #QN174644 გადაწყვეტილება; არსებული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, მოსკოვის გამზირი, #24ა (ნაკვ. 02/049), ს.ს. „თბილხელსაწყო“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ ღობეში ჭიშკრისა და პანდუსის მოწყობის შესაძლებლობას.

– გათვალისწინებული იქნას ქონების მართვის სააგენტოს 03.10.2012 წლის #QN174644 გადაწყვეტილებაში ასახული მოთხოვნები.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.